№ 9. 11 იანვარი, შაბათი 1866--1880 12 იანვარი, შაბათი № 9

# დროება

საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი. ყოველ-დღე ორშაბათს გარდა

რედაქცია
არგენ ხ შეიდანზე, შუაბაზრის თავში მარცხნივ, თ. ლუარსაბ არღუთინსკის სახლში, № 2.

ხელის-მოწერა
მიიღება „დროების“-„ივერიის“ რედაქციაში. გარეშე ცხოვრებთათვის: Въ Тифлисъ. въ редакцію Дроэба - „Иверія“

„დროება“-„ივერიის“ ფასი

| | წელიწადში. | 6 თვეს: | 3 თვეს |
|---|---|---|---|
| „დროება“-„ივერია“ ერთად | 13 მან. | 7 მან. | 4 მ. |
| ცალკე „დროება“ | 9 მან. | 5 მან. | 3 მ. |
| ცალკე „ივერია“ | 6 მან. | 4 მან. | 2 მ. |

ცალკე ნომერი „დროებისა“ ღირს 5 კაპ. „ივერიისა“ 2 მან.

ფასი განცხადებისა
დიდი ასოებით ასოზე 1 კაპ., ჩვეულებრივის ასოებით ასოზე ნახევარი კაპ. ჩვეულებრივის ასოთი ასოზე მეოთხედი კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილს რედაქცია ფოსტით ვერ დაუბრუნებს ავტორს.

განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

ცალკე ნომრები

## „დროებისა“

ისყიდება:

**თფილისში:** შაერდოვის სააგენტოში (გოლოვინის პროსპექტზე, შიოევის სახლებში) ბრიქეროვის წიგნის მაღაზიაში (ხიდთან, ზუბალოვის სახლებში), აზნაუროვის თამბაქოს მაღაზიაში (ბულვარზე, მდივანის შენობაში).

**ქუთაისში** ოლანეზოვის მაღაზიაში (ხარაზოვის შენობაში).

ამას გარდა რკინის გზის ყველა სტანციებზე და ვაგონებში—კონდუქტორებთან.

---

## ტელეგრამმები

(ხალხთა შორის სააგენტოსი)

**პეტერბურღი,** 10 იანვარს. „მავრობის უწყებაში“ სწერია განნი 9 იანვარს. ხელმწიფე იმპერატრიცას უკეთ ექანა, ძალიან, ცოტად ახველებდა, ოფლი არ მოსვლია, შური მიირთვა მადიანად, საღამოს დონე მოემატა; სიცხე ქქონდა 38, 4, მაჯა 116; დილა სიცხე 38, 4, მაჯა 104.

---

### სავაჭრო ბილეთების აღება

თფილისი, 10 იანვარს.

რამდენიმე თფილისის ვაჭრისაგან, განსაკუთრებით წვრილი ვაჭრებისაგან, მივიღეთ ჩვენ ამ დღეებში საჩივარი იმაზედ, რომ დანიშნულ დრომდინ, ე. ი. 1 იანვრამდინ, ვერ მოვასწარითო სავაჭრო ბილეთის, პატენტის და მოწმობის აღებაო და ამის გამო ზოგს ჯარიმა გადაგვახდევინეს და ზოგს კი სულაც დაგვიკეტეს დუქნები და ვაჭრობა აღგვიკრძალესო.

მას აქეთ, რაც გილდი შემოვიდა ჩვენში, მუდამ წლის დამდეგს ისმის ხოლმე ამისთანა საჩივარი და უკმაყოფილება ჩვენი ვაჭრებისაგან. და უნდა მართალი სთქვას კაცმა ამ საჩივარს თავის საფუძველიცა აქვს.

როგორც მოგეხსენებათ, ერთხელვე და სამუდამოთ გამოცხადებულია, რომ ვაჭრებმა ყველა მათთვის საჭირო დოკუმენტები პირველ იანვრისთვის უნდა აიღონ სახაზინო პალატიდამ; ვინც ამ დღისათვის ვერ მოასწრებს ფულის შეტანას პალატაში და მოწმობის გამოტანას, იმათ აღეკრძალებათ ვაჭრობა.

მდიდარი ვაჭარი უკანასკნელ დღეს უცდის ვადისას 30-31 ქრისტეშობისთვის და მხოლოთ ამ უკანასკნელ დღეებში შეაქვს პალატაში ხვედრი ფული და გამოაქვს იქიდამ პატენტი. იმის ანგარიში მოითხოვს, რასაკვირველია, რომ ერთის თვით წინ არ შეიტანოს ფული, არ დაჰკარგოს ტყუილ-უბრალოთ ერთის თვის ან თუნდა რამდენიმე დღის სარგებელი, როდესაც კანონი იმას აძლევს ნებას, რომ ვადის გათავებამდინ, 1 იანვრამდინ, როცა ჰსურს, მაშინ შეიტანოს. ღარიბს, მეწვრიმალე ვაჭრებსაც უფრო მომეტებული უფლება აქვსთ ამ ანგარიშით იხელმძღვანელონ; ისინიც ვადის უკანასკნელ დღემდინ ისარგებლებენ თავიანთ თითო-ოროლა გროშს და როცა ვადა თავდება, მხოლოთ მაშინ მირბიან სახაზინო პალატაში.

ახლა თქვენ წარმოიდგინეთ—რა გამოდის აქედამ:

ქალაქს თფილისში ითვლება თორმეტ ათასზე მეტი ვაჭარი. ყველა ეს ხალხი სწორეთ ქრისტეშობისთვის უკანასკნელ დღეებში მიდის სახაზინო პალატაში და თხოულობს მოწმობას, ბილეთს, პატენტს. პალატაში ამ საგნისათვის განსაკუთრებით მხოლოთ ორი ჩინოვნიკია დანიშნული, ერთი ფულს იღებს ვაჭრებისაგან და მეორე მოწმობას აძლევს იმათ. ამოდენა ხალხს აბა რას გასწვდება ეს ორი ჩინოვნიკი? არის ერთი გაუწყნარებელი, ჯოჯოხეთური ყვირილი, ყაყანი, თხოვნა, მუქარი და ხმაურობა. ყველა ფულს აწვდენს ჩინოვნიკს, ყველა დროზე თხოულობს გასტუმრებას. მაგრამ რომელი ერთი დააკმაყოფილოს?

მდიდარ ვაჭრებს კიდევ არა უშავთრა: ისინი თვითონ არ მობრძანდებიან პალატაში, თავიანთ პრიკაშჩიკებს გზავნიან, თან ატანენ იმათ თავის ნაცნობ ჩინოვნიკთან პატარა ბარათს, რომ ნ. პ—ჩ, ჩემი ბილეთი, პოჟალუსტა, მალე მიეციო. და, მოგეხსენებათ, მდიდრის თხოვნა ყოველთვის და ყოველგან გასჭრის ხოლმე... რჩებიან ღარიბები. ჩვენ დაგვარწმუნეს, რომ ზოგიერთი წვრილი ვაჭრები ორი კვირის განმავალობაში მუდამ დღე დილიდამ ნაშუადღევის ორ საათამდინ დაიარებიან პალატაში მოწმობის ასაღებად და კიდევ ვერ ასწრობენო, ვერ ეღირსებათ მიღებაო, და ბოლოს კიდევ იმათვე უკეტენ დუქნებს და ვაჭრობას უკრძალავენო, რადგან მოწმობა ვერ აიღოვო!

ჩვენ გვაკვირვებს—რად იყოს ამისთანა უწესოება, რად უნდა იყვნენ ჩვენი ვაჭრები ამ მხრით შევიწროებულნი, როდესაც ამის მოსასპობელად ძალიან ადვილი და უბრალო საშუალება შეიძლება მოიძებნოს. ჩვენის აზრით, საქმის გაადვილება და ყველა საფუძვლიან საჩივრის ერთბაშათ მოსპობა შეიძლება ამ გვარად:

ერთის ან ორის თვით წინეთ რამდენჯერმე გამოაცხადოს სახაზინო პალატამ ყველა ადგილობრივ გაზეთებში და აგრეთვე უსტაბაშებსაც და

---

## ფელტონი

### თეატრის მატიანე

**ბაბუნიას ქალის ბენეფისი:** „კინტო“, კომედია აკ. წერეთლისა. „ჯერ დაიხოცნენ, მერე დაქორწილდნენ“, რუსულიდამ გადმოკეთებული თ. რ. ერისთავისაგან.

(შემდეგი)

ვიდრე მივყვებით ამ სათაურში მოხსენებულ წარმოდგენების განრჩევას, ორიოდე სიტყვა უნდა საზოგადოდ სცენაზედ და სათეატრო ხელოვნებაზედ მოგახსენო; უნდა გავიკაფოთ გზა და კვალი შეძლებისამებრ; უნდა დავიდგინოთ ის საზოგადო თეატრიული მხედველობა, რომელიც ცოტად თუ ბევრად გზას გაგვინათებს და გაგვიძღვება ჩვენს მოქმედებაში. უპირველესი პირობაც ადამიანის მოქმედობისა, რა საგანსაც უნდა შეეხებოდეს ეს მოქმედობა, არსებობს ამაში. ახალს რასაკვირველია ვერას ვეტყვი მას ვისაც კი ცოტაოდენად თვალ-ყური უდევნებია ლიტერატურისათვის წამოყენებულ საგანზედ, მაგრამ ჩვენთვის თეატრი ახალი საქმეა და არა მგონია მეტი იყოს განვიმეორეთ ცოტაოდენად მაინც რა ღვაწლიც დაუდვია ადამიანის ჭკუას სათეატრო ხელოვნების წარმატებისათვის. მართალია, სათეატრო ხელოვნება, როგორც საგანი თეორიულის შემუშავების მცირედ არის განვითარებული და წინ წამდგარი. და ბევრადაც დაუვარდება სხვა ხელოვნებას. მაგრამ, რაც უნდა იყოს, მტკიცედ არის გამოკვლეული ორიოდე ჭეშმარიტება მაინც, რომელთაც ვერაგზით ვერ ასცილდება ვერც სცენაზედ მოთამაშე, ვერც სათეატრო კრიტიკა, თუ ნამდვილად სასცენო ხელოვნებას ემსახურებიან.

უწინდელ დროში სცენისა და აკტიორის მოღვაწეობის თაობაზედ ერთი ცრუ აზრი იყო გავრცელებული: სცენაზედ მოთამაშესათვის არავითარი სწავლა, მუშაობა, შრომა, როლის გაზეპირების მეტი, საჭირო არ არისო; თუ ღმერთს უბოძებია მისთვის ნიჭი, დიდი გრძნობიერობა და სხვა ჯეროვანი თვისება—საკმარისიაო. ამას რასაკვირველია, მოსდევდა შესაფერი წესიც თამაშობისა, ამბობდნენ: აკტიორმა თვისი როლი გრძნობით უნდა შეითვისოსო; როლი ხორცში და ძვალში უნდა გაუჯდესო, „როლში უნდა შევიდესო“ და მით თითქმის დაივიწყოსო, რომ თამაშობის დროს აკტიორიაო და არა თვით ნამდვილად ის პირი, რომელსაც არდგენსო. ასე ფიქრობდნენ მეთქი უწინდელ დროში. ასი წელიწადია მას აქეთ რაც ერთმა გამოჩენილმა საფრანგეთის მწერალმა აკტიორის მოღვაწეობაზედ გამოთქვა სრულიად სხვა აზრი, რომელიც თან-და-თან ვრცელდებოდა და დღეს დამკვიდრებულია, როგორც შეურყეველი ჭეშმარიტება. ეხლა ყველამ იცის, რომ აკტიორმა თვის თამაშობაში ყველაზედ უწინარეს ჭკუა უნდა ამოქმედოს და არა გრძნობა; უნდა შეისწავლოს, ჭკუით უნდა შეითვისოს და არა გრძნობით თვისი როლი, ე. ი. ის პირი, რომელსაც არდგენს სცენაზედ; მოთამაშემ არა წუთს არ უნდა დაივიწყოს, რომ აკტიორია, რომელიც ცდილობს, რაც შეიძლება მოხერხებულად შეიტყუოს მაყურებელი. ეხლა ყველამ იცის, რომ აკტიორს ყოველი მისი სიტყვა, ყოველი მიხრა-მოხრა, ყოველი თვალის დახამხამება წინადვე უნდა ჰქონდეს შესწავლული. მაშასადამე, ამ გვარ მხედველობისამებრ სცენის შესახებ იმისთანა ფრაზებს, როგორც „როლში შევიდაო“ და სხვ. ადგილი აღარ უნდა ჰქონდეთ. ვიმეორებ: საშუალება და სახსარი აკტიორის მოქმედობისა არის ჭკუითი შესწავლა და არა გრძნობიერებით შეთვისება. რასაკვირველია, ნიჭი დიდი ძალაა ყოველ საქმეში. მაგრამ მარტო ნიჭი არის ძალა ბრმა, უსინათლო. მისი ნაყოფიერება გაუწდომელია, როცა მას დაერთვის მეცადინეობა, შრომა; ჭკუის გაზრახული მოქმედობა. დრო ზეგარდმო-შთაბერვისა პოეტებისათვისაც კი დიდი ხანია გამქრალია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ვაჭრების შპრავასაც გამოაცხადებინოს, რომ პირველისა და მეორე გილდის ვაჭრებმა უეჭველად 15 ქრისტეშობისთვემდინ აილონ საჭირო პატენტები, და დანარჩენ ვაჭრებს კი შეეძლოსთ აღება 15-დამ ვიდრე მომავალის წლის 1 იანვრამდინ.

მაგრამ თუ ეს მაინც და მაინც კანონის საწინააღმდეგო იქმნება ან სხვა რამ აღუდგება ამას წინ, მაშინ სახაზინო პალატას შეუძლიან მეორე კიდევ უფრო ადვილი საშუალება იხმაროს: ოთხი ჩინოვნიკის მაგიერ, დროებით ერთის თვის ვადით, ამ საქმეზე ოთხი ჩინოვნიკი დააყენოს და ეს ოთხი ჩინოვნიკი ყოველთვის მოასწრებენ ყველა ვაჭრების მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

ერთის სიტყვით, სამის წლის მაგალითმა და გამოცდილებამ დაარწმუნა სახაზინო პალატაცა და განსაკუთრებით ვაჭრები, რომ იმ წესით სავაჭრო მოწმობის აღება, რა წესითაც ახლა სწარმოებს, მოუხერხებელია და ძნელია: მაშასადამე მთავრობა უნდა ეცადოს, რომ ეს წესი შეიცვალოს.

## ახალი ამბები

კავკასიის სამხედრო მთავრობა აცხადებს, რომ სამხედრო შტაბში შემოდისო სხვა-და-სხვა სამხედრო პირებისაგან თხოვნა იმის შესახებ, რომ მიეცესთ იმათო სასყიდლად სადმე კავკასიის მხარეში თავისუფალი სახელმწიფო მიწა. ამგვარი თხოვნები ამ ჟამად დაკმაყოფილებულნი არ იქნებიანო, რადგან რაც კავკასიის მხარეში სამხედრო წოდების დასარიგებელი თავისუფალი მიწები იყო, უკვე დარიგებულიაო.

* * *

ზემო-ქართლიდამ გვაცნობებენ, რომ ამ უკანასკნელ დროს იქითკენ ერთობ გახშირებულა ქურდობა და მტაცებლობა, ჩვენი კორრესპონდენტი ამ ქურდობას ადგილობრივ ოსებს აბრალებს. ამასთან ესეც ყურადღების ღირსიაო, რომ ერთი ოსი რო რამეს მოიპარავს, იმ წამსვე მეორე აღმოუჩნდება საქონლის დამკარგავს, ეუბნება, ამდენს-და-ამდენს თუ მომცემ ამოგიჩენ შენ დაკარგულ საქონელსაო. დამკარგავი, განსაკუთრებით თუ ხამი გლეხია, ხშირად მოსტყუვდება ხოლმე, აძლევს ფულს და ფულიც ეკარგება და ვერც დანაკარგს მოიპოვებს. ხანდის-ხან კი თვითონ ქურდი მოდის ამ პირობით და მართლაც მოუყვანს პატრონს დაკარგულ საქონელსა.

* * *

ჩვენ შევიტყვეთ, რომ მომავალ ოთხშაბათს ქართული ტრუპპა წარმოადგენს საზაფხულო თეატრში: „მე მინდა კნეინა გავხდე!“ კომედია ზ. ანტონოვისა და „თილისმით მოარშიყე“ თ. გ. ერისთვის კომედია.

უ. ქ. მესხი თავის ბენეფისისათვის (ამ იანვრის 23-ს) ამზადებს თ. აკაკი წერეთლისაგან გადმოკეთებულ მოლიერის კომედიას „სკაპენს“ ან იმისივე ახალ კომედიას „კინტოს“ და იმისივე ჩინებულ ვოდევილს „ბუტიაობას“, რომელიც თფილისის სცენაზე პირველად წარმოსდგება.

* * *

დღეს, 11 იანვარს, მეორედ მოვიდა ქალაქში პატარა თოვლი. ამ დღეებში გვარიანად ციოდა და ყინავდა, დღეს კი, თოვლი მოსვლის შემდეგ, ცოტა არ იყოს ათბა.

## „დროების“ კორრესპონდენცია

ს. კასპი, 4 იანვარს. მრავალი რამ ითქვა თქვენს გაზეთში ქურდობის შესახებ, რომელიც ამ ჟამად ძრიელ გახშირებულია ყოველ მხარეს; სხვათა შორის წავიკითხე ახალ შემოღებული საშვალება ქურდობის შემცირებისა ქუთაისის გუბერნიის რამდენსამე მაზრებში, რომელიც იმედს გვაძლევს, ცოტა მაინც შეამციროს ასე გახშირებული ავ-კაობა.

რასაკვირველია ის პირობები, რომელიც ზემოხსენებულ მაზრებში დაუდგენიათ, კარგია და პატიოსანი, თუ კეთილ-სვინიდისიანად და რიგიანად მოიქცნენ არჩეული პირები თავიანთ მოვალეობის შესრულებისათვის.

მაგრამ თფილისის გუბერნია რაღას უყურებს? ნუ თუ არ არის დრო, რომ მიმართონ აქაც იმავე საშვალებას, როგორიც დაუდგენიათ ქუთაისის გუბერნიის მაზრებში?

არ შემიძლიან, რომ ვიქონიო აქ ერთგვარი მსჯელობა ყველა მაზრებზე, მხოლოდ ვიტყვი რამდენსამე სიტყვას გორის უეზდის სოფელ კასპზე, სადაც ამ ჟამად ქურდობა ძალიან გახშირებულა. გარდა იმისა, რომ რომელსამე საწყალ გლეხს გაქურდავენ და მოაშორებენ თავიანთ საკუთრებას, იქამდის მიჰყავთ საწყალი ქურდისაგან გაცარცული, უსწავლელი და გამოუცდელ გლეხი, (თუგინდ აზნაურიც), რომ დასტყუებენ ფულებს,—რაო და შენ რაც მოგპარეს გინახავთო.

სხვათა შორის მოვიყვან ერთ მაგალითსაც, რომელიც არის ყოვლად გამოაშკარებული საქმე და დროით ყურადღების მიქცევის ღირსიცა.

1879 წ. ზაფხულში აქ (კასპში) მოიპარეს ერთ ღამეს ხუთი ცხენი. საწყალმა პატრონებმა ბევრი ოფლი ღვარეს მათ ძებილზე, ბევრი ირბინეს მარჩიელებთან, სადაც კი ვინმე ხელს მიუშვერდათ, მაგრამ სულ ტყუილი შრომა გამოუვიდათ. შემდეგ იმ ცხენების ნახვა და თავიანთ პატრონების ჩაბარება იკისრა ერთმა ოსმა, რომელიც ცხოვრებს თ. გ. რ. ერისთვის მამულში გვარად ძალიშვილმა, და ეგრეთის პირობის შესასრულებლად თითო ცხენში სთხოვა ოც-ოცი მანეთი, რომლისაგანაც ნახევარი წინათვე მიიღო და ნახევარიც უნდა მიეცათ, როდესაც ცხენებს ჩააბარებდა თავიანთ პატრონებს. გავიდა აგერ მეოთხე თვე და დღესაც არაფერი სჩანს თვალით, არც ცხენები და აღარც ის ფული, რომელიც მათგან მიიღომან...

გ. ტ—ძე.

# რუსეთი

—„მოსკოვის უწყებაში“ დაბეჭდილია ვლადიკავკავიდამ მიღებული დეპეშა, რომელიც გვატყობინებს, რომ ახალ-თეკეს ატრიადის შტაბის უფროსმა აცნობა ღენ. ტერ-ღუკასოვსაო, რომ რამდენიმე რუსის ტყვე, რომელიც გეოკ-ტეპესთან ბრძოლის დროს იყვნენ თეკინებისაგან დატყვევებულნი, გამოიპარნენ იქიდამ და სპარსეთში გადავიდნენო. ამ გამოპარულებში ურევია სხვათა შორის მაიორი ფეოდორ საფონოვიო.

—

„მოსკოვის უწყებებში“ იწერებიან, რომ ფინლანდიის ღენერალ-ღუბერნატორს წარუდგენია უმაღლეს მთავრობასთან პროექტი წერა-ბეჭდვის თაობაზე, რომელიც შეეხება რუსულ პერიოდიკულ გამოცემების საქმეს ფინლანდიაში.

—

ამავე გაზეთში იწერებიან პეტერბურღიდამ რომ უმაღლეს მთავრობაში ლაპარიკია მასზედ რომ სასჯელთა წესის 1,647 და 1,648 მუხლნი შეიცვალოს. ამ მუხლთა ძალით ვინც გაჰსტეხს სახლს და ისე მოიპარავს, იმას ყოველი ღირსება ჩამოერთმევა და იგზავნება ციმბირში. ეხლანდელს პროექტს კი აზრათა აქვს იგივე სასჯელი გარდახდეს ამისთანა

---

თეატრში სცენაზედ მოქმედობს ცხოვრების სურათი, აწინდელისა თუ წარსულისა. ყველაფერი იმ გვარად არის მომართული, რომ არაფერში სიცოცხლე არ დაეკარგოს ამ მოქმედებას და მაყურებელიც სრულიად მოტყუვდეს. რად იცინის ან რად სტირის მაყურებელი? კიდეც იმიტომ, რომ სცენა იმდენად ცოცხლად მოქმედობს, რომ მაყურებელი მთლად მოტყუებულია. ძალა და მნიშვნელობა თეატრისაც ამაშია. ამაშივეა გამონასკული აქტიორის თამაშობაც. რამდენადაც აქტიორი კარგად შეისწავლის თავის როლს, ე. ი. იმ პირის ხასიათს, რომლის გამოხატვა სურდა ავტორს; რამდენადაც შეითვისებს ამ პირის შესაფერ ხმას, ლაპარაკს, მიხვრა-მოხვრას, თავის დაჭერას, იმდენად აქტიორის გავლენა მაყურებელზედ უმეტესია. მაგრამ ყველა ეს არა კმარა. პიესაში, როგორადაც თვით ცხოვრებაში, რომლის სურათსაც წარმოადგენს ეს პიესა, მომქმედნი პირნი არ არიან გაფანტულნი, უთავ-ბოლოდ დაქსაქსულნი, არამედ შეკავშირებულნი არიან და შეადგენენ რთულს მოქმედობას. თითოეულის პირის ქცევა, მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა ბევრად დამოკიდებულია იმ ურთიერთობაზედ, რომელიც სუფევს დანარჩენ მომქმედ პირთა შორის. ამიტომ მარტო საკუთარის როლის, ე. ი. წარმოსადგენ პირის ხასიათისა და მოქმედობის გაცნობა და დაკვირვება საკმარისი არ არის აქტიორისათვის. მან უნდა გაიცნოს სხვა მომქმედ პირთა როლებიც, უნდა დააკვირდეს და შეისწავლოს მთელი პიესა. ამას მოითხოვს აქტიორის საკუთარი, პიროვანი სარგებლობაც. მაყურებელი უყურებს და ისმენს არა მარტო რომელსამე თვითოეულ მომქმედ პირს, არამედ მთელს პიესას, როგორც რთულს მოქმედობას. რთულია აგრეთვე ის შთაბეჭდილებაც, რომელიც გამოაქვს მაყურებელს თეატრიდამ. იქნება ამა და ამ აქტიორმა უკეთესად ითამაშა ვიდრე მეორემ, მაგრამ რა გამოვიდა: თუ მისი თამაშობა განმარტოვებულია თეატრის მნიშვნელობა თითქმის ნახევარზედ დაკარგულია...

აქ უნდა შევსწყვიტო ჩემი საუბარი, რომლის საგანზედ კიდევ არა ერთხელ მექნება შემთხვევა ლაპარაკისა. გადავიხილოთ გაბუნიას ქალის ბენეფისი. წარმოადგინეს ახალი კომედია აკ. წერეთლისა კ ი ნ ტ ო. კომედიაში გამოყვანილია დარბაისელი და დამჯდარი ქალი, ქმარ-შვილის დიდად მოყვარული, სახელად სალომე (გაბუნიას ქალი). ქმარი მისი ილია (თომაშვილი) ჩვეილი ხასიათის კაცია, ადვილად აშყოლი, ლხინის მოყვარული. ცოლზედ გულ-გრილად არის: დულუულა და უხასიათო არისო და ამისთანა ქალის სიყვარული არ მაკმაყოფილებსო. ამით სარგებლობს მისი მეგობარი სამსონ (მაჩაბელი), ადრინდელი მთხოვნელი სალომესი, რომელიც ცდილობს აგები როგორმე ილია შევაძულო და მე შემიყვაროსო. ამიტომაც სამსონი ატარებს ილიას ბაღებში, ლხინში და ქალებში ატარებინებს დროს. სალომე ფიქრობს, როგორმე ქმრის სიყვარული ხელმეორედ დავიპყრაო და ოჯახობას დაუბრუნო მისი თავიო. ამისათვის სალომემ შემდეგი ხერხი მოიგონა: გადიცვა კინტოს ტანისამოსი და დაესწრო იმ ლხინს, სადაც ილია თავისის ამხანაგებით ქეიფსა სწევდა. კინტურად ჩაცმული ხოლმე იღებს მონაწილეობას ლხინში და მღერის. ამ სიმღერიდამ ილია (რომელიც, რასაკვირველია ვერა სცნობს სალომეს) შეიტყობს, რომ ეს კინტო ჰყვარობს სალომეს. ილიას, რასაკვირველია ეჭვიანობა აეშლება და ცდილობს გაიგოს მართალს ამბობს თუ არა. სახლში მიდის და რწმუნდება, რომ მართალია, რადგანაც თავის თვალით ნახა როგორ შევიდა კინტო სალომეს ოთახში. ილია გამოიწვევს მოწმების წინაშე სალომეს ამ საქმის თაობაზედ. ჯერ-ჯერობით სალომე ვითომ და არაფერიო. ბოლოს აუხსნის, რომ ის კინტო მე ვიყავიო. ამ გვარად სალომეს რაც უნდოდა ის მოხდა: ხელ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქორწილს, მხოლოდ ღირსების ჩამორთმევლად და ზოგიერთი ამგვარი ქორწილების საქმე მომრიგებელ მოსამართლეებს დაექვემდებაროს.

# უცხოეთი

საფრანგეთი. დღევანდელმა საზღვარ გარეთის ფოსტამ მოგვიტანა ფრანცუზული გაზეთები, რომელშიაც, სხვათა შორის, დაბეჭდილია საფრანგეთის ახალი — ფრეისინეს სამინისტროს განცხადება დეპუტატთა პალატაში შესახებ იმ პოლიტიკისა, რომლითაც ეს სამინისტრო იხელმძღვანელებს; მოგვყავს რამოდენიმე ადგილი ამ განცხადებიდამ:

„ახალი სამინისტროს დადგენა ამტკიცებს მხოლოდ იმას, რომ მკვიდრს საფუძველზედ დამყარებულა რესპუბლიკის წესები ჩვენს ქვეყანაში. დღეის შემდეგ საფრანგეთს შეუშინებელად, უკან-მიუხედავად შეუძლიან რეფორმებისა და სხვა-და-სხვა ახალ ცვლილებათა შემოღებას შეუდგეს

„დიდი ცვლილება უნდა მოხდეს სასამართლოებში. ჩვენ და თქვენ, ყველას გვსურს, რომ ჩვენი სასამართლოები იყვნენ ძლიერნი, დამოუკიდებელნი და რესპუბლიკურ წესების ერთგულნი დამცველნი.

„ჩვენ მივაქცევთ განსაკუთრებულ ყურადღებას: რომ მმართებლობის წარმომადგენელნი პირნი, მოსამსახურენი იყვნენ ნამდვილნი წარმომადგენელნი რესპუბლიკისა და ხალხის მოთხოვნილებასა.

„ბეჭდვას (ჟურნალ-გაზეთებს) მიენიჭება ფართო, სრული თავისუფლება.

„ჩვენი აზრი არის, რომ კანონი ყველასთვის თანასწორი უნდა იყვეს, რომ კანონი ერთ-ნაირად უნდა იცავდეს ყველა მოქალაქეს და ერთნაირად სჯიდეს ყველას, ვინც ამ კანონის დარღვევას გაბედავს; განსაკუთრებით ყურადღებას მივაქცევთ, რომ რესპუბლიკურ დაწესებულებას არავინ მიაყენოს რაიმე შეურაცყოფა...“

ყველა რესპუბლიკურ გაზეთებს მოსწონთ ეს განცხადება ახალის სამინისტროსი; რადიკალური გაზეთები ემდურიან ფრეისინეს მხოლოთ იმიტომ, რომ კომუნარების პატიებაზე ამ განცხადებაში ერთი სიტყვაც არ არის მოხსენებული.

—საფრანგეთის სენატის სხდომები 1 იანვარს გაიხსნა პარიჟში.

ინგლისი. ავღანიდამ ლონდონის გაზეთებში იწერებიან, რომ გავლილ 29 ქრისტეშობისთვეს ღენ. რობერტს მოუხმია ავღანელების თავი კაცები და გამოუცხადებია იმათთვის, რომ ინგლისის მმართებლობის განზრახვა მხოლოდ ის არისო, რომ წესი და მშვიდობიანობა დაამყაროს ავღანში და ამ მხრით დაიცვას თავის ინდოეთის სამზღვრებიო.

ფილიპოპოლში ბერძენთა და ბოლგართა შორის შეტაკების შესახებ პეშტის კორრესპონდენცია 12 იანვრიდამ გვაცნობებს შემდეგს:

ფილიპოპოლის ბერძნებმა უკმაყოფილობა გამოუცხადეს პორტას და დიდი სახელმწიფოების წარმომადგენელთ იმის შესახებ, რომ ბოლგარებმა ძალით დაიჭირეს პატრიარქის ეკკლესია. ინგლისის გენერალურმა კონსულმა მიჩელმა მოახსენა ეს ლორდ სოლსბერის და გამოაცხადა თავის აზრი ამ შემთხვევის შესახებ. დანარჩენ სახელმწიფოების წარმომადგენელთა მოსთხოვეს თავიანთ მმართებლობას დარიგება. ბერძნების დეპუტაცია მიდის კონსტანტინოპოლში სულთანთან საჩივლელად.

ერთ ნემეცურ გაზეთს (პრესს) აცნობებენ, რომ პორტას გაუგზავნია ალექო-ფაშისათვის, რომ მან დაუყოვნებლივ აცნობოს ეს შემთხვევა დაწვრილებით. ხონთქარმა, ლეიარდმა და ფურნემ ინახულეს ბერძნების პატრიარქი ამ საქმის შესახებ მოსალაპარაკებლათ.

— ირლანდიაში, ქნოკრი-კარდაში, მაიოს საგრაფოში, 10 იანვარს, მოხდა დიდი არეულობა იმის შესახებ, რომ მოიჯარადრეები დაითხოვეს იჯარის ფულის გადაუხდელობისათვის. უწყებების დამტარებელს მოიჯარადრეების დათხოვნის შესახებ დასდევდა თან 100 პოლიციის მოხელე. მათ წინ გადაუდგა დიდის ყიჟინით გროვა 500 ქალებისა და არ აძლევდნენ უწყებების დამტარებელს ნებას თავის თანამდებობის აღსრულებისას—მიეკრა უწყებები მოიჯარადრეების კარებებზედ. პოლიციის მოხელეთა და აჯანყებულ ქალებთა შორის მოხდა ნამდვილი შეტაკება, რისაგამოც ზოგიერთს ქალებს დაჰკრეს შუბები, მაგრამ მოკლომით კი არავინ მომკვდარა.

## სამართალი

თფილისის ოლქის სასამართლოს სისხლის სამართლის განყოფილებაში დანიშნულია შემდეგ პირების საქმეები განსახილველად:

12 იანვარს

1. ტალიბ-აბას-ოღლისა—იზვოსჩიკის ფექტულინის გაცარცვა.
2. იაკობ დურგალოვისა, რომელსაც ბრალდება ბოროტ-მოქმედება.

12 იანვარს

1. იაკობ ოლანოვსკისა—ბრალდება ოლგა ბალაბანსკის გაქურდვა.
2. იმისივე—ბრალდება კარლ-ვალის გაქურდვა.
3. სიმონ ბევორქიზოვისა—ბრალდება ცეცხლის დროს ნივთების მოპარვა.

15 იანვარს

1. სარქის ხალათოვისა—ბრალდება მარტიროსოვის სადგომიდამ სხვა და სხვა ნივთების მოპარვა.
2. ეკატერინე კანდრეევიჩისა—ბრალდება ანნა ფუკსის სამოვრის მოპარვა.
3. იაგორ ზურაბოვის ბრალდება საგატელოვის სადგომიდამ ნივთებით სავსე ზანდუკის მოპარვა.

## წარმოდგენები

შაბათს, 12 იანვარს.

თეატრში—რუსული წარმოდგენა: „Паутина“—მანნის 5 მოქმ. კომედია და „Домъ сумасшедшихъ“ 1 მოქმ. ვოდევილი.

გოდფრუას ცირკში—ახალი ბალეტი „Демонъ искуситель“ ახალის ტანისამოსითა და დეკორაციებით.

## თფილისის სამკურნალო

ავათმყოფებს მიიღებენ დილის ცხრა საათიდამ ვიდრე ნაშუადღევის პირველ საათამდის.

ორშაბათს: ექიმი გავრონსკი—ქალის ავათმყოფობისა, ლისიცევი—შიგნეულების ავათმყოფობის, როტინიანცი—ქალისა და ყმაწვილების ავათმყ., ქიუზარიანცი—ხირურგიულ და თვალის ავათმყოფობ., ბაზაევი—ნერვების ავათმყ., და შტემბორსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა.

სამშაბათს: ექ. მინკევიჩი — ხირურგიულ ავათმყოფ., ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფ., რეიხი—თვალისა, ბაზოვი—გულისა და შინაგანის ავათმყოფ., ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილის ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანის ავათმყოფობის.

---

მეორედ მიიზიდა ქმარი და დაუბრუნა ოჯახობას. სამსონი კი პირ-შერცხვენილი დაითხოვეს სახლიდამ.

სწორე მოგახსენოთ კომედიის შინაარსი დიდი არაფერია, მაგრამ ნიჭიერმა ავტორმა მრავალი ცოცხალი სურათი ჩაურთო ამ საზოგადოდ ღარიბ შინაარსს, რომელიც უფრო ვოდევილს შეეფერება ვიდრე კომედიას. ამ ცოცხალი სურათების ძალით აკ. წერეთლის კომედია სცენისათვის სასარგებლო პიესაა და ღირსია, რომ საპატიო ადგილი მიეცეს ჩვენს რეპერტუარში. რაც შეეხება აკტიორების თამაშობას აქ, ჩვენდა სამწუხაროდ, ხელმეორედ გამოჩნდა სენი, რომელიც არ ეშვება ჩვენის თეატრის მოღვაწეთ. მოუმზადებლობა, მცირე ყურადღება საქმისადმი, დაუდევნელი „დადგენა პიესისა“ სცენაზედ და სხვ. როლების გაზეპირება რა არის, ამასაც კი არ ცდილობენ ჩვენი აკტიორები. თუ ამის თანა პირველ-დაწყებითი მოთხოვნილებანი სცენისა არ არიან აღსრულებულნი თეატრი ყოვლად შეუძლებელია. თუ ახალი პიესა „დადგენილ იქმნა“ სცენაზედ ოთხი, ხუთი დღის განმავალობაში წინადვე შეუძლიან სთქვას კაცმა, რომ პიესა ცუდად იქმნება ნათამაშევი. კაი რამ რო ბაბუნიას ბენეფისში იმისთანა ცოცხალი თუ და თავიდამ ბოლომდე სცენიკური პიესა წარმოადგინეს და მით ცოტად თუ ბევრად დაფარულ-იქმნა უხეირო მოწყობილობა წარმოდგენისა, თორემ შენი მტერი ბაბუნიას ქალის ბენეფისი პირ-შერცხვენილი იქნებოდა. რაც შეეხება თვითოეულ აკტიორის თამაშობას აკ. წერეთლის კომედიაში, ყველაზედ უწინარეს უნდა შევნიშნოთ ბაბუნიას ქალი და უფ. მესხი. ჩემის აზრით სალომეს როლი სრულიად არ შეეფერება ბაბუნიას ქალს. კომიკური ბებერი დედა-კაცი, ქვრივი, მაჭანკალი, აი მისი როლები, როლები, როგორც თვითონ მაყურებელიც დარწმუნდებოდა იმავე სალამოს თ. რ. ერისთავის კომედიაში, რომელშიაც ბაბუნიას ქალი იყო სრულიად თავის ადგილას და ცოტა რომ ზომიერება დაეცვა მისი თამაშობა ყოვლად უნაკლულო იქმნებოდა. მაგრამ რაც უნდა იყოს ბაბუნიას ქალი იმდენად ნიჭიერია, რომ ისე ვერ წაახდენს როლს, რომ მაყურებელს ეჩოთირებოდეს მისი ნახვა. ჩემდა სამწუხაროდ ადგილი ნებას არ მაძლევს დაწვრილებით განვიხილო როგორც ბაბუნიას ქალის თამაშობა ისე სხვა აკტიორებისა. ეს დაწვრილებითი განხილვა შემდეგ იყოს. ეხლა კი ორიოდე სიტყვა უძღვნათ თითოეულ აკტიორს.

უფ. კოტე მესხი, რომელიც იმერელ მსახურს თამაშობდა, ჩვეულებრივად ძალიან კარგი იყო. მის თამაშობას ნიჭს გარდა ეტყობა მეცადინეობა, დაკვირვება, შრომა. უფ. თომაშვილი სრულიად შეუძლებელი იყო. ჩემის აზრით კაცი არას დროს არ ილაპარაკებს ისე, იმ კილოზედ როგორც თომაშვილი ლაპარაკობდა ილიას როლში; ხმა კი არა კილოს მოგახსენებთ. მას ჰქონდა ქალური კილო. თომაშვილი, რასაკვირველია, ჯერ სრულიად გამოუცდელი აკტიორია და ყოველიფრის სწავლა სჭირია; მან არ იცის არც ლაპარაკი, არც სიარული, არც თავის დაჭერა. უფ. ყიფიანმა კი, რომელიც აკაკის პიესაში სალომეს მეგობარს თამაშობდა, იცის ყველაფერი ლაპარაკისა და როლის გაზეპირების გარდა. ჩემის აზრით კოტე ყიფიანის თამაშობა გარეგანის მხრით, შეუდარებელია და ჩინებული აკტიორიც გამოვა დეკლამაციას რომ უმეტესი ყურადღება მიაქციოს. ნიჭი დაკვირვებისა, ეს დიდად ძვირფასი ნიჭი აკტიორისათვის, კოტე ყიფიანს უეჭველად აქვს, მაგრამ ამ დაკვირვებით სარგებლობს იგი მხოლოდ გარეგან თამაშობისათვის. დეკლამაცია (ლაპარაკის კილო), პირისახის თამაშობაზედ (მიმიკა) და მიხვრა-მოხვრაზედ (ჟესტიკულაცია) არა ნაკლები ნაწილია სათეატრო ხელოვნებისა.

**ოთხშაბათს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფ., ლისიცკი და რუდკოვსკი—შინაგანი ავათმყოფ., ასტვაცატუროვი—ქალის, შტემბოვსკი—ვენერიულ და კანის, პომერანცოვი—გულის.

**ხუთშაბათს:** ჟურავლევი—ყელისა და გულის ტკივილის, როტინიანცი ქალისა და ყმაწვილის ავათმყო., ქიუხარიანცი—ვენერიულ და სამარდე ასოების ავათმყოფ., ვერმიშევი—შინაგანი ავათმყოფობისათვის.

**პარასკევს:** გავრონსკი—ქალის ავათმყოფობის, მინკევიჩი—ხირურგიულის, ლისიცკი—შიგნეულის, ბახუტოვი—ბებიობის, ქალისა და ყმაწვილების, ბაზოვი—ნერვების და შიგნეულების, ასტვაცატუროვი—ვენერიულ და კანის, შტემბოვსკი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისათვის.

**შაბათს:** ჟურავლევი—ვენერიულ და კანის ავათმყოფობისა, რეიხი—თვალის, ბაზოვი—გულისა და შიგნეულების და ვერმიშევი—შიგნეულისა.

ამას გარდა ექიმი ბაზაევი მუქთად სწამლობს ღარიბ ავათმყოფებს ოთხშაბათობით საღამოს 5 საათიდამ 9-დინ (სერგიევის ქუჩა, ბაინდუროვის სახლი).

დოქტორი ჟურავლევი მიიღებს ღარიბ ავათმყოფებს მუდამ დღე საღამოს 6 საათიდამ 7-მდინ სამკურნალოშივე.

კბილის ექიმი ობრესტი ავათმყოფებს, ვისაც სამკურნალოდამ ქაღალდი ექმნება, მუდამ დღე მიიღებს თავის სახლში (გოლოვინის პროსპ., ზარაიოვის სახლი).

მუდამ დღე, კვირას გარდა, დილის 9 საათიდამ 11-მდინ სამკურნალოში არის ბებია ავათმყოფი ქალებისათვის.

# ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐᲜᲘ

## ᲡᲐᲮᲐᲖᲘᲜᲝ.

კავკაზიის აქეთა მხრის პრიკაზი აცხადებს, რომ ამა 1880 წლის თებერვლის თვის 11-ს გაისყიდება თფილისში ქვემოხსენებულ პირთა უძრავი მამულები (სახლები), რომელიც დაგირავებულია პრიკაზში, რადგან ამ სახლების პატრონებს თავის დროზე ვერ შემოუტანიათ ფული ვალისა და იმის სარგებლის გარდასახდელად; სამი დღის შემდეგ დანიშნული იქნება ხელ-მეორედ ვაჭრობა (პერეტორჟკა):

1) ერთ-სართულიანი სახლი სოლომონ ჯავროვისა—ქალაქის 1 განყოფილების 1 უჩასტკაში, დავიდოვისა და ოსვრაგის ქუჩაზე, № 106. სახლი დაგირავებულია 1877 წელს, ვალი 2,000 მან.

2) ერთ-სართულიანი სახლი დიმიტრი ბელონოვსკისა—2 განყოფ. 14 უჩასტკაში, ავლაბარში, № 378. დაგირავებულია 1876 წ. 1,000 მან.

3) ორ-სართულიანი სახლი თფ. მოქალაქის ივანე არუთინოვისა—2 განყოფ. 13 უჩასტ., ავლაბარში, № 261. დაგირავ. 1876 წ. 2,000 მან.

4) ამისივე ორ-სართულიანი სახლი, 2 განყოფ. 13 უჩასტ., ავლაბარში, № 261. დაგირავ. 1875 წ. 2,000 მან.

5) ორ-სართულიანი სახლი ელისაბედ ფირუმოვისა, 1 განყოფ. 8 უჩ., ძველ ციხის ქუჩაზე. 1877 წ: 2,200 მ.

6) ორ-სართულიანი სახლი თფ. მოქალაქის სარქის სარქისოვისა—1 განყოფ. 1 უჩასტ. მე-10 ნავთონის ქუჩაზე, № 336. დაგირ. 1877 წ. 1,800 მან.

7) ორ-სართულიანი სახლი მართა მარქაროვისა—1 განყოფ. 2 უჩასტ.. ლაბარატორის ქუჩაზე. 1870 წ. 1,800 მან.

8) სამ-სართულიანი სახლი ეკატერინა ხალათოვისა—1 განყოფ. 1 უჩ., არსენალის ქუჩაზე, № 87. დაგირავ. 1868 წ. 22,500 მან. ამ ჟამად ეს სახლი მიხეილ და ისაკ ფულინოვებს ეკუთვნის.

9) ორ-სართულიანი სახლი აზნ. იოსებ დავ. ბაბაშვილისა—1 განყოფ. 1 უჩასტ., ოლგინის ქუჩაზე. 1877 წ. 6,000 მან.

10) ორ-სართულიანი სახლი აარონ და მიხეილ სტეფანეს ძეთ ქამოევებისა—1 განყ. 6 უჩასტ., დოქტორის ქუჩაზე, № 78. დაგირავ. 1859 წ. 2,400 მან.

ვისაც ამ ზემო მოყვანილ მამულების ყიდვა ჰსურს, დაფასებითი სიების ნახვა პრიკაზში შეუძლიან.

(5—1)

---

არტაანის სამაზრო გამგეობაში ამ 1880 წლის 28 იანვარს იქნება გაჯრობა (ხელ-მეორედ გაჯრობა სამის დღის შემდეგ) იჯარით (არენდით) მიცემაზედ იმ საკირე ქვაასა, რომელსაც 2000 ოთხ-კუთხი საჟენი სივრცე უჭირავს და რომელიც მდებარეობს სოფ. არილას მახლობლად ფოცხოვის საპრისტავოში. იჯარის ვადა სამი წელიწადია ე. ი. 1880 წლის 1 იანვრიდამ ვიდრე 1883 წლის 1 იანვრამდინ.

(3—1)

---

თფილისის გუბერნიის გამგეობა (პრავლენიე) აცხადებს; რომ ამა 1880 წლის 21 თებერვალს იქნება მხოლოთ ერთხელ გაჯრობა იჯარით გაცემაზედ ყარაიაზის სახელმწიფო საზამთრო საბალახე მიწების №№ 5, 6, 7, 8, 9, 10, 11, 12, 13, და 19, იჯარა მიეცემა სამის წლის ვადით 1880 წლის 1 ივლისიდამ.

დაწვრილებული პირობების (კანდიციების) შეტყობა მსურველს შეუძლიან გუბერნიის პრავლენიაში დილის 10 საათიდამ ნაშუა-დღევის 2 საათამდინ.

(5—1)

**1880 ГОДЪ ТРЕТІЙ 1880**

**ОТКРЫТА ПОДПИСКА НА**

**„СВѢТЪ и ТѢНИ“** — еженедѣльный художественный журналъ съ каррикатурами.

**„МІРСКОЙ ТОЛКЪ“** — еженедѣльный политическій и литературный журналъ.

**Годовая цѣна на оба изданія съ доставкою и пересылкою—12 руб.; полугодовая—7**

Въ настоящемъ, 1880, журналы „СВѢТЪ и ТѢНИ“ и «МІРСКОЙ ТОЛКЪ» будутъ выходить, также какъ и въ настоящемъ, еженедѣльно, въ форматѣ большихъ заграничныхъ иллюстрацій, по той-же программѣ, но увеличенномъ объемѣ и съ многими улучшеніями, какъ и въ рисункахъ, такъ и въ текстѣ,—первый исключительно преслѣдуя вопросы чисто-художественные, второй—политическіе, общественные, научные и литературные. Такимъ образомъ, оба эти изданія, составляя какъ бы одно цѣлое и обнимая, въ совокупности, всѣ отрасли общественной жизни, политики, литературы, наукъ и искусства, въ состояніи замѣнить собой, для лицъ не имѣющихъ средствъ подписываться на нѣсколько отдѣльныхъ изданій, одновременно и еженедѣльную политическую газету, и журналъ спеціально-художественный, съ тремя дорогими преміями и массой отдѣльныхъ приложеній, и журналъ каррикатурный и юмористическій, и, наконецъ, толстый ежемѣсячный журналъ переводныхъ повѣстей и романовъ.

Согласно съ этой программой въ годовое изданіе журнала »СВѢТЪ и ТѢНИ» войдетъ: 1) Сто страницъ бол. формата каррикатуръ, иллюминованныхъ красками.—2) Отъ четырехъ до пяти сотъ каррикатуръ мелкихъ.—3) Пятьдесятъ, отпечатанныхъ въ нѣсколько тоновъ, отдѣльныхъ картинъ.—4) Большой, снабженный изящной обложкой, альбомъ, заключающій въ себѣ шесть оригинальныхъ, исполненныхъ, по заказу редакціи, эскизовъ академика К. А. Трутовскаго. 5) Такой-же альбомъ, составленный изъ оригинальныхъ работъ др. извѣстнѣйшихъ русскихъ художниковъ; и 6) безплатная годовая премія—большая, исполненная заграницей, олеографія.

Въ журналѣ «Свѣтъ и Тѣни» примутъ участіе извѣстные русскіе художники: Гг. С. И. Грибковъ, В. Н. Маковскій, Н. В. Невревъ, В. Г. Перовъ, В. Д. Полѣновъ, Е. И. Рачковъ, Е. И. Рѣпинъ, К. А. Трутовскій, Ѳ. И. Ясновскій и др.; декораторъ Импер. Театровъ К. Ѳ. Вальцъ, и художники каррикатуристы—Н. А. Богдановъ, И. М. Васильевъ, С. В. Любовниковъ, М. М. Самойловъ, Федоровъ, и многіе другіе.

Примѣчаніе 1-ое. Цѣна каждаго альбома въ отдѣльной продажѣ будетъ назначена не менѣе 3 р., а годовой преміи, также какъ и въ прошломъ году—5 р.

Примѣчаніе 2-ое. Всѣ гг. вновь подписавшіеся при требованіи премій 1878 и 79 гг.—олеографій „На медвѣжьей охотѣ“—и „Штормъ на морѣ“ благоволятъ прилагать къ подписной суммѣ; два р., вмѣстѣ трехъ—за первую, и четыре, вмѣсто пяти—за вторую.

Журалъ „МІРСКОЙ ТОЛКЪ“ (изданіе безцензурное), по примѣру прошлаго года, имѣетъ предложить читателямъ: 1) передовыя статьи; 2) правительственныя распоряженія; 3) вѣсти изъ-за границы; 4) жизнь нашихъ провинцій; 5) слухи и сообщенія; 6) фельетоны—общественной жизни, московскій театральный и музыкальный; 7) обазрѣніе нашей печати; 8) романы, повѣсти и пьесы; 9) стихотворенія; 10) смѣсь, и 11) юмористическій листокъ.

Кромѣ того, журналъ „Мирской толкъ“ съ января 1880 г будетъ выдавать всѣмъ подписчикамъ безплатно, какъ приложеніе, 12 книгъ (по книгѣ въ мѣсяцъ; отъ 250 до 300 страницъ въ каждой) избранныхъ романовъ, повѣстей и расказовъ. За это изданіе гг. подписчики высылаютъ только 1 рубль на укупорку и почтовые расходы. Въ отдѣльной продажѣ цѣна каждой книги 1 рубль.

Въ текстѣ самаго журнала „Мірской толкъ“ будутъ напечатаны, между прочимъ: новая комедія В. Балуцкаго, «Родственники», увѣнчанная преміею Краковской академіи; историческая трагедія «Дженъ Шоръ» Н. Байрона; нѣсколько отрывковъ изъ пьесы «Король забавляется» (*Le roi s' amuse*) Виктора Гюго, стихотворномъ переводѣ Н. Л. Пушкарева; историческій романъ Гр. С—ова—«Старой вѣры хранители» и т. д. Помѣщены будутъ, конечно, по мѣрѣ выхода ихъ, и новыя произведенія знамѣнитыхъ романистовъ Загада: Золя, Гонкура, Шпильгагена, Ауербаха, Рищпена, Генри Удъ и друг.

**Подписная цѣна на оба изданія:**

На годъ доставкою и пересылкой . . . . . 12 р
„ полгода „ „ „ . . . . . 7 р.

Примѣчаніе. Разсрочка платежей подписной суммы допускается: или за поручительствомъ гг. казначеевъ, или по третямъ. съ обязательнымъ взносомъ первой—при подпискѣ, второй—не позднѣе 15 марта и послѣдней—15 іюля. Полугодовые подписчики правомъ на полученіе годовой преміи не пользуются.

Подписка принимается: въ Москвѣ, въ Главной конторѣ журналовъ „Мирской Толкъ“ и „Свѣтъ и Тѣни“ (Петровка, д. Товарищества Петровскихъ линій № 15), куда благоволятъ адресовать свои требованія гг. иногородные.

Съ 10 ОКТЯБРЯ прошлаго года, для большаго удобства гг. подписчиковъ, при Главной Конторѣ журналовъ „Мірской Толкъ“ и „Свѣтъ и Тѣни“ открытъ книжный и картинный магазинъ, съ пріемомъ объявленій и подписки и на всѣ другія русскія періодическія изданія, а при редакціи имѣется собственная типографія и хромолитографія. Всѣ заказы и требованія гг. иногородныхъ, какъ книжнымъ магазиномъ, такъ и типографіей, исполняются немедленно и аккуратно. Гг. подписчики на „Мірской Толкъ“ и „Свѣтъ и Тѣни“, при выпискѣ изъ магазина книгъ и картинъ, или заказовъ типографскихъ и литографскихъ работъ, за пересылку ничего не платятъ, а при помѣщеніи въ текстѣ названныхъ журналовъ какихъ либо публикацій пользуются уступкой 20%.

Редакторъ-Издатель Н. Л. ПУШКАРЕВЪ.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 11 Января 1880 г. Типографія Меликова. გამომც. ს. მელიქიშვილი. რედაქტორები ილ. ჭავჭავაძე და ს. მესხი